

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერი

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“
სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
განმარტებითი შენიშვნები	7
დასკვნის ბოლო გვერდი	22

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-22	31-დეკ-21
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	13,384,450	12,654,755
არამატერიალური აქტივები	2	27,348	16,521
გრძელვადიანი მოთხოვნები	6	77,111	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	5	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,488,909	12,671,277
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	7	201,953	215,137
საგადასახადო აქტივები	10	5,432	19,005
წინასწარ გაწეული ხარჯი	4	3,620	3,620
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3	2,096,993	835,713
ფული და ფულის ექვივალენტები	8	505,137	114,037
სულ მიმდინარე აქტივები		2,813,135	1,187,512
სულ აქტივები		16,302,043	13,858,789
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	11,510,894	11,510,894
გაუნაწილებელი მოგება	9	(544,287)	(517,860)
არამაკონტროლებელი წილი	9	(22,796)	-
სულ კაპიტალი		10,943,811	10,993,033
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13	3,735,298	1,051,200
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,735,298	1,051,200
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,509,982	437,817
მოკლევადიანი სესხები	11	77,111	1,345,719
საგადახადო ვალდებულებები	10	35,786	-
გადასახდელი პროცენტები		56	31,020
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,622,935	1,814,556
სულ ვალდებულებები		5,358,233	2,865,756
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,302,044	13,858,789

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

20 ოქტომბერი, 2023
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 3-22 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.


შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31-დეკ-22	31-დეკ-21
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	13,384,450	12,654,755
არამატერიალური აქტივები	2	27,348	16,521
გრძელვადიანი მოთხოვნები	6	77,111	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	5	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,488,909	12,671,277
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	7	201,953	215,137
საგადასახადო აქტივები	10	5,432	19,005
წინასწარ გაწეული ხარჯი	4	3,620	3,620
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3	2,096,993	835,713
ფული და ფულის ექვივალენტები	8	505,137	114,037
სულ მიმდინარე აქტივები		2,813,135	1,187,512
სულ აქტივები		16,302,043	13,858,789
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	11,510,894	11,510,894
გაუნაწილებელი მოგება	9	(544,287)	(517,860)
არამაკონტროლებელი წილი	9	(22,796)	-
სულ კაპიტალი		10,943,811	10,993,033
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13	3,735,298	1,051,200
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,735,298	1,051,200
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,509,982	437,817
მოკლევადიანი სესხები	11	77,111	1,345,719
საგადახადო ვალდებულებები	10	35,786	-
გადასახდელი პროცენტები		56	31,020
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,622,935	1,814,556
სულ ვალდებულებები		5,358,233	2,865,756
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,302,044	13,858,789

ხელმოწერი პირი:

დირექტორი



20 ოქტომბერი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 3-22 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	3,738,362	3,086,175
სხვა შემოსავალი	15	5,079	11,315
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(1,837,321)	(1,309,080)
საერთო მოგება		1,906,119	1,788,410
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(2,338,620)	(1,468,532)
საოპერაციო ხარჯი		(2,338,620)	(1,468,532)
საოპერაციო მოგება		(432,501)	319,877
არასაოპერაციო შემოსავალი	18	334,352	633
მოგება/ზარალი კურსთასორის სხვაობიდან	19	943,255	247,650
საპროცენტო ხარჯები	20	(217,550)	(42,961)
არასაოპერაციო ხარჯები	18	(675,503)	(32,504)
არასაოპერაციო ხარჯები		384,554	172,818
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(47,947)	492,695
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,276)	(2,078)
წმინდა მოგება		(49,222)	490,617
წლის მოგება, რომელიც მიეკუთვნება:			
ჯგუფის მფლობელს		(26,426)	490,617
არამკონტროლებელ წილის მფლობელს		(22,796)	-
		(49,222)	490,617

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

20 ოქტომბერი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 3-22 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	14	3,738,362	3,086,175
სხვა შემოსავალი	15	5,079	11,315
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	16	(1,837,321)	(1,309,080)
საერთო მოგება		1,906,119	1,788,410
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(2,338,620)	(1,468,532)
საოპერაციო ხარჯი		(2,338,620)	(1,468,532)
საოპერაციო მოგება		(432,501)	319,877
არასაოპერაციო შემოსავალი	18	334,352	633
მოგება/ზარალი კურსთასორის სხვაობიდან	19	943,255	247,650
საპროცენტო ხარჯები	20	(217,550)	(42,961)
არასაოპერაციო ხარჯები	18	(675,503)	(32,504)
არასაოპერაციო ხარჯები		384,554	172,818
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(47,947)	492,695
მოგების გადასახადის ხარჯი		(1,276)	(2,078)
წმინდა მოგება		(49,222)	490,617
წლის მოგება, რომელიც მიეკუთვნება:			
ჯგუფის მფლობელს		(26,426)	490,617
არამკონტროლებელ წილის მფლობელს		(22,796)	-
		(49,222)	490,617

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი



20 ოქტომბერი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 3-22 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	არამაკონტროლებელი წილის მფლობელებისთვის მიკუთვნებული	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	11,510,894	(1,008,128)	-	10,502,765
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	490,617	-	490,617
კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	11,510,894	(517,511)	-	10,993,382
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(26,426)	(22,796)	(49,222)
კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	11,510,894	(544,286)	(22,796)	10,943,812

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

20 ოქტომბერი, 2023
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 3-22 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	არამაკონტროლებელი წილის მფლობელებისთვის მიკუთვნებული	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	11,510,894	(1,008,128)	-	10,502,765
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	490,617	-	490,617
კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	11,510,894	(517,511)	-	10,993,382
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(26,426)	(22,796)	(49,222)
კაპიტალის ცვლილება	-	-	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	11,510,894	(544,286)	(22,796)	10,943,812

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი



20 ოქტომბერი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 3-22 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	2022	2021
მოგება დაბეგვრამდე	(47,947)	492,695
კორექტირება:		
ცვეთის ამორტიზაციის ხარჯი	269,936	344,183
წმინდა (ზარალი)/სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაბიდან	(943,011)	(247,650)
განსაკუთრებული შემოსავლები/(ხარჯები)	-	-
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	(721,022)	589,229
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობაში	13,185	(820)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	(1,052,950)	(847,388)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1,072,165	1,208,165
(ზრდა)/შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში	35,786	(8,232)
ცვლილება სხვა აქტივებში	2,031,452	1,690,362
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	1,378,616	2,631,316
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(999,630)	(2,558,110)
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(999,630)	(2,558,110)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის (ზრდა)/შემცირება	-	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	378,986	73,206
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	12,114	(10,396)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	114,037	51,227
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	505,137	114,036

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი

20 ოქტომბერი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 3-22 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარში

	2022	2021
მოგება დაბეგვრამდე	(47,947)	492,695
კორექტირება:		
ცვეთის ამორტიზაციის ხარჯი	269,936	344,183
წმინდა (ზარალი)/სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაბიდან	(943,011)	(247,650)
განსაკუთრებული შემოსავლები/(ხარჯები)	-	-
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	(721,022)	589,229
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობაში	13,185	(820)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	(1,052,950)	(847,388)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	1,072,165	1,208,165
(ზრდა)/შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში	35,786	(8,232)
ცვლილება სხვა აქტივებში	2,031,452	1,690,362
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	1,378,616	2,631,316
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(999,630)	(2,558,110)
ცვლილებები არამატერიალურ აქტივებში	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(999,630)	(2,558,110)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის (ზრდა)/შემცირება	-	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	378,986	73,206
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	12,114	(10,396)
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	114,037	51,227
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	505,137	114,036

ხელმოწერილი პირი:



დირექტორი

20 ოქტომბერი, 2023

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 3-22 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

1. კორპორატიული ინფორმაცია

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2005 წლის ივლისში. და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 204380035.

ძირითადი საქმიანობა. შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მედიცინისა და სილამაზის დარგში ფართო სპექტრის მომსახურების უზრუნველყოფა. კერძოდ: გამაჯანსაღებელი, სარელაქსაციო და სარეაბილიტაციო მომსახურებები. კომპანიის ძირითადი საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა აგრეთვე ექიმ-პროფესიონალთა კონსულტაციების უზრუნველყოფა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, გორგასალის ქ., №9.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მეწილეები იყვნენ:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მეიდან ჯგუფი - 75%
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მეიდანია - 25%

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, ჯგუფი ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

კონსოლიდაციის საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2021 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

2. მომზადების საფუძველი

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შემენის თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში;
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შემენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა

(ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამეტი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება- ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარღვევებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის“ შვილობილ კომპანიებს წარმოადგენენ:

1. შპს ბალნეო-რეჰაბი საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის და სქოლიოზის სადიაგნოსტიკო-სარეაბილიტაციო ცენტრი (404639824) – 70%
2. შპს სასტუმრო - თბილისის სპა კურორტი (404585640) – 100%
3. ფიზიკური მედიცინის, კურორტოლოგიის და ბალნეოლოგიის ასოციაცია (404598039) – 100% (საანგარიშგებო პერიოდსა და შესადარის პერიოდში კომპანიას არ ჰქონია მოძრაობა)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის

ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმომოხილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	31 დეკ 2022	31 დეკ 2021
1 USD/GEL	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.8844	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. ჯგუფს არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს ჯგუფში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობა	50
სამკურნალო გამაჯანსაღებელი დაწესებულების ინვენტარი	10
მანქანა დანადგარები	6-9
სხვა ძირითადი საშუალებები	5-7

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით

დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფის ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
 - ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
 - მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
 - არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ
- სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფის დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“

შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

პოზიციებს სადავოდ გახდია. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

1. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა ნაგებობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	საოფისე და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 31.12.2021	-	11,787,569	1,273,975	683,897	11,563	13,757,003
შემენა	800	696,848	39,791	220,094	55,721	1,013,254
გასვლა	-	-	(13,246)	(252,584)	(41,736)	(307,566)
ბალანსი 31.12.2022	800	12,484,417	1,300,520	651,407	25,547	14,462,691

ცვეთა						
ბალანსი 31.12.2021	-	-	(833,527)	(268,721)	-	(1,102,248)
ცვეთა	-	-	12,804	7,224	-	20,028
გასვლა	-	-	(195,707)	(104,565)	(4,258)	(304,531)
ბალანსი 31.12.2022	-	-	(1,016,429)	(366,062)	(4,258)	(1,386,750)

ბალანსი 31.12.2021	-	11,787,569	440,448	415,176	11,563	12,654,755
ბალანსი 31.12.2022	799	12,484,417	284,091	285,345	21,289	13,075,941

2. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივები	სულ
ღირებულება		
ბალანსი 31.12.2021	21,437	21,437
შემენა	12,648	12,648
გასვლა	-	-
ბალანსი 31.12.2022	34,084	34,084
ცვეთა		
ბალანსი 31.12.2021	(4,915)	(4,915)
ცვეთა	-	-
გასვლა	(1,821)	(1,821)
ბალანსი 31.12.2022	(6,736)	(6,736)
ბალანსი 31.12.2021	16,521	16,521
ბალანსი 31.12.2022	27,348	27,348

3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31-დეკ-22	31-დეკ-21
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,091,318	830,259
უსასყიდლო მიწოდება	-	-
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	5,539	5,453
მოთხოვნები თანამშრომელთა მიმართ	135	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,096,993	835,712

4. წინასწარ გაწეული ხარჯები

წინასწარ გაწეული ხარჯები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
წინასწარ გადახდილი საიჯარო ქირა	3,620	3,620
სულ წინასწარ გაწეული ხარჯები	3,620	3,620

5. ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში

ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	-	-
სულ ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის“ - დედა კომპანიის მონაწილეობა შვილობილ - შპს სასტუმრო - თბილისის სპა კურორტი - კომპანიის საწესდებო კაპიტალში შეადგენს 54,668 ლარს.

6. გრძელვადიანი მოთხოვნები

გრძელვადიანი მოთხოვნები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	77,111	-
სულ გრძელვადიანი მოთხოვნები	77,111	-

7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31-დეკ-22	31-დეკ-21
საქონელი	25,444	46,134
სარემონტო და მიმდინარე სამუშაოები	26,679	78,951
ნედლეული და მასალები	95,828	49,013
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	54,002	41,040
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	201,953	215,137

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	5,210	5,891
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	213,050	86,718
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	286,877	21,429
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	505,137	114,037

9. საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის კაპიტალი შედგება სამი ნაწილისგან, საწესდებო კაპიტალი, რომლის ნომინალური ღირებულებაა 11,510,894 ლარი, და 544,287 ლარი დაგროვილი ზარალი და 22,796 ლარის ღირებულების არამაკონტროლებელი წილი. 2022 წელს ჯგუფმა მიიღო დამატებითი 49,222 ლარის ზარალი, რომელიც ნაშთშია წარმოდგენილი, როგორც მიმდინარე პერიოდის მოგების / (ზარალის) განყოფილება და საიდანაც 26,426 ლარი წარმოადგენს ჯგუფის წილს, ხოლო 22, 796 ლარი არამაკონტროლებელ წილს. 2022 წლის განმავლობაში კაპიტალი არ გაზრდილა. პერიოდის ბოლოს ჯგუფის კაპიტალის წმინდა ღირებულება 10,943,811 ლარი იყო.

10. საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები

საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
გადასახდელი მოგების გადასახადი	10,514	(9,239)
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	786,602	(856,858)
არარეზიდენტის გადასახადი განაცემებიდან	1,008	(1,008)
სსიპ საპენსიო სააგენტო	917	(6,651)
გადასახდელი დღგ	1,332,123	(1,081,625)
მიღებულ ავანსებზე გადასახდელი დღგ	(273)	-
გადახდილი დღგ	(1,986,697)	1,878,175
ავანსზე ჩათვლილი დღგ	46,143	(24,519)
უკუდაბეგვრის დღგ	1,953	(1,953)
საოპერაციო საქმიანობიდან ჩათვლილი დღგ	(75,657)	50,496
ქონების გადასახადი	(84,503)	81,274
მიწის გადასახადი	9,062	(9,062)
ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი	25	(25)
სულ საგადასახადო აქტივები/ვალდებულებები	41,218	19,005

11. მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
მოკლევადიანი სესხები	77,111	1,345,719
სულ მოკლევადიანი სესხები	77,111	1,345,719

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,133,387	409,743
ვალდებულება უცხოელ მომწოდებელთან	107	2
გასანადღებელი მოკლევადიანი თამასუქი	21,290	2,701
გადასახდელი ხელფასები	38,496	25,370
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,193,280	437,817

13. გრძელვადიანი სესხები

გრძელვადიანი სესხები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
გრძელვადიანი სესხები	3,735,298	1,051,200
სულ გრძელვადიანი სესხები	3,735,298	1,051,200

14. შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან

შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	2,894,084	2,044,640
შემოსავალი რეალიზაციიდან დღგ დასაბეგრი	844,278	1,041,535
სულ შემოსავალი პროდუქციის და მომსახურების რეალიზაციიდან	3,738,362	3,086,175

15. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი	2022	2021
უსასყიდლო მიწოდება დღგ დასაბეგრი	4,908	11,315
უსასყიდლო მიწოდება დღგ-თი დაუბეგრავი	171	-
სულ სხვა შემოსავალი	5,079	11,315

16. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2022	2021
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	203,087	202,706
სხვა ხარჯები	162,721	103,110
ხელფასი	1,424,242	999,609
გაყიდული/შეძენილი საქონელი	13,250	3,655
ცვეთა და ამორტიზაცია	34,021	-
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1,837,321	1,309,080

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
რეკლამის ხარჯები	60,435	19,084
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	726	888
შრომის ანაზღაურება	944,886	562,555
ხელფასის სახით დაბეგრილი	1,839	13
თანამშრომელთა სხვა სარგებელი	45,609	29,757
საიჯარო ქირა	600	4,220
კომუნალური ხარჯები	238,289	165,875
წყლის ანალიზი	226	1,487
ინვენტარის იჯარის ხარჯი	1,653	4,195
ტენდერის მოსაკრებელი	186	306
კომუნიკაციის ხარჯები	14,266	11,953
დაზღვევის ხარჯები	5,807	6,281
რემონტის ხარჯი	119,052	65,041
კომპიუტერის ხარჯები	2,589	2,328
საკონსულტაციო ხარჯები	195,000	96,148
ცვეთა და ამორტიზაცია	303,957	344,183
საექვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები	2,826	-
საგადასახადო ხარჯები	172,095	30,517
ბანკის საკომისიო	385	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	790	-
სხვა საერთო ხარჯი	227,423	123,701
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2,338,637	1,468,532

18. არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	2022	2021
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	334,352	632
არასაოპერაციო ზარალი	(371,599)	(29,977)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(303,904)	(2,527)
სულ არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(341,151)	(31,871)

19. მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან

მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	2022	2021
საკურსო სხვაობა	955,751	257,529
კონვერტაციის ხარჯი	(12,496)	(9,879)
სულ მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	943,254	247,650

20. საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი	2022	2021
საკურსო სხვაობა	(217,550)	(42,961)
სულ საპროცენტო ხარჯი	(217,550)	(42,961)

21. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც ჯგუფი საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და ჯგუფის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

22. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფს აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად ჯგუფის მენეჯმენტი

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“

შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ჯგუფის დონეზე მართვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო რისკის სტრუქტურას 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2022	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	39	286,837	218,260	505,137
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	2,096,993	2,096,993
სულ ფინანსური აქტივები	39	286,837	2,315,253	2,602,130
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	1,509,982	1,509,982
გრძელვადიანი სესხები	-	-	3,735,298	3,735,298
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	5,245,280	5,245,280
წმინდა პოზიცია	39	286,837	(2,930,027)	(2,643,150)

2021	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	-	21,429	92,609	114,037
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	835,713	835,713
სულ ფინანსური აქტივები	-	21,429	928,321	949,750
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	437,817	437,817
გრძელვადიანი სესხები	-	-	1,051,200	1,051,200
სულ ფინანსური ვალდებულებები	-	-	1,489,017	1,489,017
წმინდა პოზიცია	-	21,429	(560,696)	(539,267)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. ჯგუფის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს ჯგუფის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ჯგუფის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულს და ფულის ექვივალენტებს (შენიშვნა 10) მენეჯმენტი ადგენს ფულის და საბანკო დეპოზიტების დაახლოებით ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია ჯგუფის ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის

შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი“

შენიშვნები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბერი

თანხები მოცემულია ლარში

ანგარიშგებაზე არსებულ ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური ვალდებულებების ვადების ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ:

2022	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	505,137	-	-	505,137
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,096,993	-	-	2,096,993
სულ ფინანსური აქტივები	2,602,130	-	-	2,602,130
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,509,982	-	-	1,509,982
გრძელვადიანი სესხები	-	3,735,298	-	3,735,298
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,509,982	3,735,298	-	5,245,280
წმინდა პოზიცია	1,092,148	(3,735,298)	-	(2,643,150)
2021	1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	114,037	-	-	114,037
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	835,713	-	-	835,713
სულ ფინანსური აქტივები	949,750	-	-	949,750
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	437,817	-	-	437,817
გრძელვადიანი სესხები	-	1,051,200	-	1,051,200
სულ ფინანსური ვალდებულებები	437,817	1,051,200	-	1,489,017
წმინდა პოზიცია	511,933	(1,051,200)	-	(539,267)

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებენ ჯგუფის მფლობელები იმის და მიხედვით თუ როგორი მოთხოვნები აქვთ მათ კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით.

23. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა.

აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია ჯგუფს, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციისას შემთხვევაში.

ჯგუფის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31-დეკ-2021		31-დეკ-2022	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფული და ფულის ექვივალენტები	505,137	505,137	114,037	114,037
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1,242,167	1,242,167	486,704	486,704
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,509,982	1,509,982	437,817	437,817
გრძელვადიანი სესხები	77,111	77,111	-	-

24. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული ჯგუფი (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები:

	2022	2021
მენეჯმენტის ანაზღაურება	277,464	79,503
სულ	247,464	79,503

25. საქმიანობის უწყვეტობა

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით. ბუღალტრული აღრიცხვის ამ პრინციპის გამოყენება შესაფერისია თუ ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან არ აქვს ასე მოქცევის რეალური ალტერნატივა. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ დავასკვნით, რომ ამ ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება არის შესაფერისი.

საანგარიშო პერიოდებში ჯგუფს აქვს უარყოფითი EBITDA, მსგავსად წმინდა მოგებისა. წინა საანგარიშგებო პერიოდთან შედარებით ჯგუფის საოპერაციო შემოსავალი გაზრდილია და ჯგუფი არ ფლობს ვალდებულებას, რომლის გადაფარვასაც ვერ შეძლებდა. ბიზნესის პერსპექტივა საკმარისად კარგი ჩანს იმისთვის, რომ მენეჯმენტი დავრწმუნდეთ, რომ მუდმივი პრობლემების წარმოშობა არ მოხდება.

ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ისეთი არსებითი გაურკვევლობის იდენტიფიცირება, რაც წარმოქმნიდა მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ ჯგუფი ვერ შეძლებდა ყოფილიყო ფუნქციონირებადი საწარმო.

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 20 ოქტომბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების გასაჯაროებამდე გარდა ქვემოთ მოცემული საკითხებისა, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.